სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №282
2024 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №95 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №95 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 15/06/2017 სარეგისტრაციო კოდი: 310150000.54.066.016117) დამტკიცებულ „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბარგზე – 1 519 SDR-ს თითოეულ მგზავრზე კომერციული ფრენისას;

დ) ტვირთზე – 26 SDR-ს თითოეულ კილოგრამზე კომერციული ფრენისას.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 28 დეკემბრიდან.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გივი დავითაშვილი**